19/12/2025

MES 4 25 0001812424

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი:** 05.12.2025
**სხდომის დაწყების დრო:** 14:00
**სხდომის დასრულების დრო:** 15:06
**საბჭოს თავმჯდომარე:** ლევან შავაძე
**საბჭოს მდივანი:** ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში – აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე** – სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე.
2. **ქეთევან აფთარაშვილი** – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. **ვაჟა კელიხაშვილი** – ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი – საბჭოს მდივანი.
4. **ნარგულ ასანიძე** – სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
5. **ნათია იორდანიშვილი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.
6. **თეა მჭედლური** – შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი.
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** – სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
8. **ციური დურული** – სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

9. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.
10. **დავით კაპანაძე** – სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.
11. **მაქსიმ იავიჩი** – შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.
12. **მზია წიკლაური** – შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი.
13. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** – ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.
14. **ქრისტინე ახალაძე** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.
15. **ბონდო გასვიანი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
16. **ირინა ლობჟანიძე** – სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი.

**სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**
**ანა ქერაშვილი** – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

***ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი***
ვახტანგ ლეჟავა
მარინა ქარჩავა
ანკა თაბუკაშვილი
მარიამ მოქია
ირინა პოპიაშვილი
ნინუცა ნაბულიშვილი

***სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია***
ნანა იაშვილი
ნინო გაგნიძე
კარლ სტოკერი

***შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ***
თეონა მაისურაძე.

**აკრედიტაციის ექსპერტები:**
ლევან სილაგაძე (I)
თამარ ჩხეიძე (II)
ნინო ქავთარია (II)
დიმიტრი ცანავა (II)
დავით სიხარულიძე (III)
ეკა ლეკაშვილი (IV)

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო, "ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის" სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
6. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
7. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
8. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
6. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.
7. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**პირველი საკითხი:**
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს სხდომას ვერ დაესწრო ექსპერტი და საბჭოს თავჯდომარემ ლევან შავაძემ საბჭოს წევრებთან დააყენა საკითხი, რომ აღნიშნული საკითხი განეხილათ ექსპერტის გარეშე. აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას შესასრულებელი ჰქონდა 5 რეკომენდაცია. უნივერსიტეტმა ვადების დაცვით წარადგინა ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტმა, ლევან სილაგაძემ შესრულებულად შეაფასა ხუთივე რეკომენდაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები**
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 14:15
**დასრულების დრო:** 14:18

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე:** 15
**წინააღმდეგი:** 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**მეორე და მესამე საკითხი:**
სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განაცხადა, რომ მესამე საკითხის განხილვაც ეხება იმავე უნივერსიტეტის – სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმურ მონიტორინგს, რომლის შეფასების პროცესშიც იგივე ექსპერტი მონაწილეობდა. ლევან შავაძემ დააყენა საკითხი საბჭოს წევრებთან, ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომ აღნიშნული ორი საკითხი განხილულიყო ერთად.

აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები, ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია. აკრედიტაციის ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიში იყო ძალიან ორგანიზებული. პროგრამებს კლასტერულად განსაზღვრული ჰქონდათ 24 რეკომენდაცია. ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, კერძოდ, მხატვრული მინის პროგრამისთვის განკუთვნილ მნიშვნელოვან დანადგარს – ღუმელს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შეიძინა აღნიშნული ღუმელი და მოახდინა შესაბამისი პერსონალის გადამზადებაც.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყველა რეკომენდაცია შეფასდა შესრულებულად, გარდა მეხუთე სტანდარტისა (5.1 და 5.2 კომპონენტი). დატოვებული რეკომენდაციის თანახმად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის, მექანიზმებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. პროგრამებს სჭირდებათ ინდივიდუალური მიდგომა, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის ტრადიციული ჩარჩოს ფარგლებში შესაძლოა მნიშვნელოვანი საკითხები შეუმჩნეველი დარჩეს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ღაღანიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროგრამებისთვის მონიტორინგის განსაზღვრის მიზეზი იყო ინფრასტრუქტურული პროგრამა. გამოცხადებული იყო ტენდერი, თუმცა დანადგარების შესყიდვა ჯერ არ იყო განხორციელებული.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელოვნებო მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფაში პერსონალის ჩართულობა პრობლემურია. ამჟამად შემუშავებულია სამუშაო შეხვედრების განრიგი, რომელიც ითვალისწინებს პერსონალთან შეხვედრებს. შეხვედრების თემები ეხება შეფასების სისტემას ან ახალ ცვლილებებს, რომლებიც გარკვეულ მღელვარებას იწვევს. სამსახური ასევე ცდილობს მოწვეული პერსონალის ჩართვას. არსებული ტენდენციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში უფრო აქტიურად არიან ჩართული ახალგაზრდა პერსონალის წარმომადგენლები, ხოლო სამსახური ძალისხმევას მიმართავს უფრო ღვაწლმოსილი პერსონალის გააქტიურებისკენაც.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები**

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ნინო ღაღანიძეს. მას აინტერესებდა, წარედგინათ თუ არა ექსპერტებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი შეხვედრებისა და აქტივობების გეგმა.
ნინო ღაღანიძემ განმარტა, რომ დოკუმენტი შემუშავდა ვიზიტისა და ინტერვიუების შემდეგ და აღნიშნა, რომ საშუალოდ თვეში დაახლოებით ორი შეხვედრა ტარდება.
ციური დურულმა აღნიშნა, რომ დასკვნაში აღწერილია უნივერსიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით და ამგვარად რეკომენდაციები უფრო რჩევებს ჰგავს.

აკრედიტაციის ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ, უპასუხა, რომ დაწესებულების პროგრესი ნამდვილად აღინიშნა, თუმცა ვიზიტის დროს აქტივობების გეგმა არ იყო შედგენილი. ვიზიტზე გეგმის წარდგენის შემთხვევაში ექსპერტები აღნიშნულ რეკომენდაციებს აღარ დატოვებდნენ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 14:44

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მხატვრული მინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ციური დურულმა თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განაცხადა, რომ მეხუთე საკითხის განხილვაც ეხება იმავე უნივერსიტეტის შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს, რომლის შეფასების პროცესშიც იგივე ექსპერტი მონაწილეობდა. ლევან შავაძემ დააყენა საკითხი საბჭოს წევრებთან, ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომ აღნიშნული ორი საკითხი განხილულიყო ერთად.
აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები, ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
აკრედიტაციის ექსპერტმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ განსაზღვრული 7 რეკომენდაციიდან ყველა შესრულებულია, გარდა შემდეგი რეკომენდაციისა – „გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად.“

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები**
პროგრამის თანახელმძღვანელმა, თეონა მაისურაძემ აღნიშნა, რომ „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო პროგრამისთვის გაცემული სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაცია შეფასდა ნაწილობრივ შესრულებულად. რუკა გადაიხედა და უმეტესად აკმაყოფილებს გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების დონეებს. რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულება განაპირობა სამმა კონკრეტულმა საგანმა („მარკეტინგის ანალიზი“, „ბიზნეს ანალიტიკის ტექნიკები და გადაწყვეტილების მიღება“ და „სისტემის არქიტექტურა“), რომლებზეც ამჟამად მიმდინარეობს დაკვირვება. ისინი შემუშავების პროცესშია და უნივერსიტეტში დამკვიდრებული პროცესების გავლის შემდეგ დამტკიცდება, დაემატება რუკაში. ამის შემდეგ რეკომენდაცია სრულად შესრულდება.
რაც შეეხება „ფინანსური ტექნოლოგიების“ პროგრამას, ქართულენოვანი პროგრამის რუკის განახლების შემდეგ, არ მოხდა ინგლისურენოვანი პროგრამის რუკის განახლება. ამჟამად ეს ტექნიკური შეცდომა აღმოფხვრილია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები**
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, იკითხა, დაახლოებით რა დროს საჭიროებს დარჩენილი რეკომენდაციის შესრულება პროცედურების მიხედვით.

თეონა მაისურაძემ უპასუხა, რომ სავარაუდოდ იანვარში განხორციელდება რუკის ცვლილება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 14:55

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ბიზნეს ანალიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ციური დურულმა თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განაცხადა, რომ მეშვიდე საკითხის განხილვაც ეხება იმავე უნივერსიტეტის შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს, რომლის შეფასების პროცესშიც იგივე ექსპერტი მონაწილეობდა. ლევან შავაძემ დააყენა საკითხი საბჭოს წევრებთან, ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომ აღნიშნული ორი საკითხი განხილულიყო ერთად.

აღნიშნულ საკითხს დაეთანხმნენ საბჭოს წევრები, ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. რაც შეეხება „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, ორი რეკომენდაცია შეფასდა მეტწილად შესრულებულად.
პირველი უკავშირდება შედეგების შეფასებას. შეფასების მეთოდოლოგია გაუმჯობესებულია, თუმცა უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების ანგარიში. წინააღმდეგ შემთხვევაში რეკომენდაცია შეფასდებოდა შესრულებულად.

მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს და შეფასდა მეტწილად შესრულებულად, რადგან პროგრამამ კიდევ გააფორმა ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან და ამგვარად, ამ ხელშეკრულებებშიც საჭირო იქნება დასკვნაში აღწერილი პრინციპით ცვლილებების შეტანა.
დანარჩენი რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული, ხოლო რჩევებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო მოწოდებული და ექსპერტების მხრიდან მათი შესრულება ვერ შეფასდა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები**
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო: 15:01
დასრულების დრო: 15:05

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „ფინანსური ტექნოლოგიების“ სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^{6}$-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 05 დეკემბერის 15:06 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე